*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

*სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ჩხიკვთას საჯარო სკოლა*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,)

**წევრები:**

მაკა მახარობლიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ხათუნა კალმახელიძე(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეა ღვინიანიძე(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);

მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **230867185** |

### II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ჩხიკვთა,<br>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი აბელიანი |
| იურიდიული მისამართი | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ჩხიკვთა,<br>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი აბელიანი |
| ფაქტობრივი მისამართი | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ჩხიკვთა,<br>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი აბელიანი |
| საფოსტო ინდექსი | **2316** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/2157 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Chkhikvta@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | არ აქვს |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 8 23 0000994646 (2023 წლის 15 აგვისტო) |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 9-10 ოქტომბერი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო | ზოგადსაგანმანათლებლო |
|---|---|---|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ჩხიკვთა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი აბელიანი |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ჩხიკვთა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი აბელიანი |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 15/08/2023 ბრძანება MES 5 23 0000994646 შექმნილმა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით" განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განახორციელა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა სკოლიდან გარკვეული დოკუმენტაცია, ხოლო 2023 წლის 9-10 ოქტომბერს განახორციელა ვიზიტი სკოლაში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგით. ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი: თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. სხვა საგნების საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ რეჟიმში ერთვებოდნენ პროცესში. წარიმართა გასაუბრება დირექციასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, ყველა საგნობრივ კათედრასთან, ვიზუალურად დათვალიერდა სკოლის შენობა და ტერიტორია ორივე მისამართზე (სოფელ აბელიანი, სოფელ ჩხიკვთა), რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. პროცესი წარიმართა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1** | ☐ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პერსონალის მართვა | ☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | აღწერა |
|---|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 60 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცეს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.2.1.2* | *სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.* **20/02/2024** |
| *ინდიკატორი N1.2.1.3* | *სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.* ***05/04/2024*** |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.2.1.4* | *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.* ***05/04/2024*** |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი 3.1.2.3* | *პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურობისა და გამჭირვალეობის პრინციპების დაცვით* | *სკოლამ წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი ცნობები (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ).,* ***17/11/2023*** |
| *ინდიკატორი 3.2.1.1* | *სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშავოს დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება პერსონალის შეფასებასა და* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | *საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;* | *პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.* ***29/11/2024*** |
| *ინდიკატორი 3.4.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას* | • *სკოლამ წარმოადგინოს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა* ***(ორივე შენობისთვის) 20/05/2024***<br>• *სკოლამ წარმოადგინოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ორივე შენობისთვის) 20/05/2024* |
| *ინდიკატორი 3.5.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია განაახლოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი* ***29/11/2024*** |
| *ინდიკატორი 3.6.3.5* | *ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებ გვერდზე განათავსო ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია* ***05/04/2024*** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. | |
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| კომპონენტი 2.2 | კურიკულუმის განხორციელებ **დაწყებითი საფეხური** | **ტექნოლოგიები**<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს კომპიუტერულ ლაბორატორიის მოწყობა 20.11.2024 |
| კომპონენტი 2.2 | კურიკულუმის განხორციელება **საბაზ საფეხური** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა 20.11.2024 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 3.4.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შრომ* | • *სკოლამ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.*<br>• *სახანძრო-უსაფრთხოების თაობაზე მიწერილობა 02/02/2023 N43 შესაბამისად, შეასრულოს* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | საგანგებო სიტუაციებში რეაგირებ და პირველადი დახმარების აღმოჩენ | გაცემული რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დასაცავად (ორივე შენობისთვის) |
| ინდიკატორი 3.5.1.3 | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნ სწავლის ინკლუზიურ გარემოს; | სკოლას მიეცა რჩევა იზრუნოს აბელიანის შენობაში გარემოს ადაპტირებაზე, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰყავ სსსმ მოსწავლე. |
| **სტანდარტი N4** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **რჩევა** |
| ინდიკატორი N…. | | |
| | | |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>დაწყებითი საფეხური | რჩევა |
|---|---|---|
| **2.1.2.2.** | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური | **მე და საზოგადოება**<br>მესამე კლასის კურიკულუმში, მეორე და მესამე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: 1 პიროვნება; 2. ცვლილება. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) | მეოთხე კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება: 1. საზოგადოება.<br>**ჩვენი საქართველო**<br>მეექვსე კლასის კურიკულუმში, არ არის წარმოდგენილი სამი სავალდებულო თემა: 1. აფხაზეთი; 2. თბილისი; 3. სახელმწიფო-ჩვენი საქართველო. აღნიშნული საჭიროებს გამოსწორებას. მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. |
| **2.1.2.4.** | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს | სასურველია, ესთეტიკური აღზრდის საგნებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტდეს და მორგებული იყოს სხვადასხვა თემაში სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე. |
| **2.2.2.1.** | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით | სასურველია, სკოლამ იზრუნოს ტექნოლოგიების პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სათანადო ტრენინგების გავლაზე, რათა პედაგოგი გაეცნოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სიახლეებს და უფრო ეფექტურად შეძლოს კურუკულუმების დანერგვა პრაქტიკაში. |
| **2.2.3.3.** | სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას | სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაზარდოს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრებები და დანერგოს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *2.3.1.2.* | *მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას* | *სასურველია, სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში, წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხედვით მოახდინოს მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმის სასწავლო პროცესში განხორციელების მონიტორინგი, შეფასება და მისცეს რეკომენდაციას.* |
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>საბაზო საფეხური | რჩევა |
| *2.1.2.2.* | | ***გეოგრაფია***<br>*მეშვიდე კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში არ ჩანს რომელი საკითხებით/საკითხთა კლასტერით მუშავდება სამიზნე ცნებები: 1. გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; 2. მოსახლეობა და მეურნეობა. მეორე და მეოთხე თემებში არ ჩანს რომელი საკითხებით/საკითხთა კლასტერით მუშავდება სამიზნე ცნებები: 1. გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; 2. მოსახლეობა და მეურნეობა; 3. მდგრადი განვითარება.*<br><br>*მერვე კლასის კურიკულუმში, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თემებში არ ჩანს რომელი საკითხებით/საკითხთა კლსტერით მუშავდება სამიზნე ცნებები: 1. გეოგრაფიული მოვლენა,* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | გეოგრაფიული პროცესი; 2. მოსახლეობა და მეურნეობა; 3. მდგრადი განვითარება. მეხუთე სავალდებულო თემა საერთოდ არ არის კურიკულუმში წარმოდგენილი.<br><br>მეცხრე კლასის კურიკულუმში, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თემებში არ ჩანს რომელი საკითხებით/საკითხთა კლსტერით მუშავდება სამიზნე ცნებები: 1. გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; 2. მოსახლეობა და მეურნეობა; 3. მდგრადი განვითარება.<br><br>**ისტორია**<br>მეშვიდე კლასის კურიკულუმში, მესამე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „ დრო“.<br>მეცხრე კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“. ასევე, მესამე თემაში არ ჩანს რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება სამიზნე ცნებები: 1. ისტორიული წყარო; 2. დრო; 3. სივრცე; 4. საზოგადოება.<br><br>მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. |
| **2.1.2.4.** | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | სასურველია დაკონკრეტდეს რუბრიკა, რომელიც კონკრეტული მიზნისთვისაა. კონკრეტული პროცესის შესაფასებლად. კომპლექსური |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | *დავალების განმავითარებელი რუბრიკების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები.* |
| **2.2.1.5.** | *სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.* | *სასურველია კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი, მიმდინარე აქტივობები, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება კონსტრუქტივიზმის ხუთივე პარადიგმა კურიკულუმის ჩარჩოებს დაერთოს დანართის სახით.* |
| **2.3.1.3.** | *მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.* | *სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამაში მათ დაეხმარებათ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსრუმენტიც.* |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც დახარვეზებული ინდიკატორების მიხედვით გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის ქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.1.4; 3.1.2.3; 3.2.1.1; 3.4.1.1; 3.5.1.1; 3.6.3.5; ინდიკატორები და კომპონენტები 2.2 დაწყებითი; 2.2 საბაზო , რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;** სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც ცალკე განაცხადებად გაწერილია მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისიაა მიზანდასახული, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების აღზრდა, რომელსაც ექნება გამომუშავებული ის უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება როგორც სწავლის გაგრძელებაში, ასევე შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გაკეთებაში. ხედვა ეფუძნება პრინციპს რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, სწავლა-საწავლების პროცესი ხელს უწყობდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას, მორგებული იქნას მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;** სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც მაღალია მიკუთვნებულობის განცდა და სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობის, თანასწორობის, სკოლისადმი ერთგულების ღირებულებებს. შექმნილია პოზიტიური, ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. დამკვიდრებულია მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საერთო ღირებულებებს ეფუძნება. შექმნილია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სკოლის რესურსებს სასწავლო პროცესში, მოსწავლეებს, მასწავლებლებს წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სკოლა გადასცემს სიგელებს. სკოლაში განხორციელდა პროექტები: „ჩვენი სკოლა“, „ინტერვიუს სამი ნაბიჯი“. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ სხვა სკოლების პედაგოგებთან გამოცდილებისა და ინოვაციური მეთოდების გაცნობა-გაზიარების მიზნით, მოსწავლეების ჩართულობით ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. შენობა აღჭურვილია სათვალთვალო ვიდეოკამერებით.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით** ამჟამად არსებული სკოლის მისია შეიმუშავა სკოლის დირექციამ და ადმინისტრაციამ სამუშაო ჯგუფთან ერთად, რომელსაც შემდეგ გაეცნო სასკოლო საზოგადოება (პედაგოგები, მშობლები) და მათი მოსაზრებების და შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცდა. მისიისა და ხედვის განაცხადები კავშირშია ერთმანეთთან და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;** სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და შესაბამისად, ის დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;** ამჟამად დოკუმენტი განთავსებულია თვალსაჩინო და ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ფოიეში, სკოლა გეგმავს რევიზირებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის ვებ გვერდზე განთავსებას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.** შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**  **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-204

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;** ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამუშაო ჯგუფი გეგმავს ახალი მისიის განაცხადიდან გამომდინარე დაიწყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რათა სკოლამ შეძლოს ესგ-სთან თანხვედრაში სამომავლო მიზნების ზუსტი გაწერა. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდება დირექცია-ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მშობლების წარმომადგენლებით. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რომელსაც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ამტკიცებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;** სკოლას არ აქვს შვიდწლიანი გეგმა, ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ჰქონდათ გარკვეული მონახაზები, რომელიც თავსებადი იქნება სკოლის ახალ მისიასა და ხედვასთან, მასში გათვალისწინებული იქნება ყველა ის გამოწვევები რომელიც სკოლას აქვს, ორიენტირებული იქნება უზრუნველყოს თითოეული მოსწავლისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემო, სკოლის რესურსების ხელმისაწვდომობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.**
**ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;** ვინაიდან სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითრების გეგმა, შესაბამისად სამოქმედო გეგმა ვერ იქნება სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული. თუმცა როგორც ვიზიტის დროს გამოიკვეთა სკოლას აქვს ერთწლიანი სასკოლო სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის** აქტივობები **და ვადები.**
**ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული**
4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლა გეგმავს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი გამოვლენილი გამოწვევების გადაჭრის გზები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის შესრულებას. ეტაპობრივად აღნიშნული პირები ანგარიშს წარუდგენენ სასკოლო საზოგადოებას (დირექცია, ადმინისტრაცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო). შვიდწლიან გეგმაზე მომუშავე პირები შეიმუშავებენ სტრატეგიას, როგორ ჩართონ მშობლები სასკოლო ცხოვრებაში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

დირექტორის ანგარიში

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;** სკოლაში სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგს ძირითადად დირექცია/ ადმინისტრაცია ახორციელებს, მაგრამ სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმავს მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, რომელიც შეიმუშავებს მონიტორინგის შეფასების რუბრიკას და საჭიროებისამებრ სკოლაში ჩაატარებს მონიტორინგს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;** სკოლას სტრატეგიული გეგმა არ აქვს შემუშავებული. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება სემესტრების ბოლოს, ასევე საჭიროებისამებრ. როგორც აღვნიშნეთ დაგეგმილია მონიტორინგის ჯგუფის შექმნა და აღნიშნული ჯგუფის მიერ მონიტორინგის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, ამ ეტაპზე რადგან კრიტერიუმები შემუშავებული არ აქვთ. ხდება მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ხარვეზების გაანალიზება და შემდგომში გათვალისწინება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;** სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები წარმოდგენილია დირექტორის ანგარიშებში, რომელსაც იგი წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს და ყოველწლიურად სამეურვეო საბჭოს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.** როგორც აღვნიშნეთ, მას შემდეგ რაც სკოლა შეიმუშავებს სტრატეგიულ გეგმას, გეგმით

გათვალისწინებული მიზნების შესრულების შეფასება მოხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პერიოდში. ანგარიშს მოამზადებს შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც განიხილავს პედაგოგიური საბჭო. დასკვნებს გაითვალისწინებენ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ამ ეტაპზე მონიტორინგს ატარებს დირექცია, რომელიც შემდეგ აღმოჩენილ ხარვეზებს განიხილავს პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე, კათედრებზე, მშობელთა კრებებზე და იღებს უკუკავშირს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

დირექტორის ანგარიშები

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;** სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობები, სამუშაო აღწერილობები გაწერილია სასწავლო გეგმაში, შინაგანაწესში, თანამშრომელთა დოკუმენტში, შრომით ხელშეკრულებებში და მათი საქმიანობები ხორციელდება შესაბამისი დებულებების საფუძველზე. სკოლა მომავალში გეგმავს სტრუქტურული ერთეულების მკაფიო წარმოჩენისთვის შექმნას ცალკე თითეული სტრუქტურული ერთეულის პოზიციის სამუშაო აღწერილობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.** თითოეულ თანამშრომელთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება, სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები. ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პედსაბჭოს

თავმჯდომარე, სტრუქტურული ერთეულები თანამშრომლობენ კოორდინირებულად, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას. დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა. სკოლა მუდმივად ზრუნავს პედაგოგთა კარიერულ განვითარებაზე. მაგ: სკოლის წარდგინებით რამდენიმე მასწავლებელმა განსაკუთრებული წესით აიმაღლა სტატუსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები

სამეურვეო საბჭოს ოქმები 9/12/2022 N3

პედაგოგიური საბჭოს ოქმი 08/12/2023 N2

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;** პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული წესდების, ეთიკის კოდექსის და შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პროცესები სკოლაში უკავშირდება, როგორც მასწავლებლებს, ასევე, ნებისმიერ სხვა დასაქმებულ პირებს, რომელთა კოორდინირებული შეთანხმებული საქმიანობაც განაპირობებს სკოლის ეფექტურობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა სამართლიანობა და გამჭვირვალობა; თანასწორობა, ნების თავისუფალი გამოვლენა; ურთიერთპატივისცემა და ურთიერთმხარდაჭერა; ეფექტური კომუნიკაცია; სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დასაქმებულის წახალისებისა და დისციპლინური დევნის საკითხები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას სრულყოფილად შემუშავებული არ აქვს შეფასების მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს მას გამოკვეთოს პედაგოგთა საჭიროებები და დაგეგმოს ხელშემწყობი აქტივობები. ძირითადად პერსონალის საჭიროებები დგინდება ზეპირი გადმოცემის საფუძველზე. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა ფუნქციების აღწერილობის დოკუმენტი, მომავალში გეგმავს შეიმუშავოს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, დეტალურად გაწეროს პერსონალის მართვის პოლიტიკა, სადაც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენის მექანიზმები, ამ საჭიროებების დაკმაყოფილების ინსტრუმენტები, გარდა ამისა განისაზღვრება პრევენციის გზები. ამ მიმართულებით განისაზღვრება პასუხისმგებელი ჯგუფები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობებიც აღწერილი იქნება ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმასთან ერთად ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;** სკოლაში ახალი პერსონალის შერჩევა ხდება ღიად და გამჭვირვალედ გასაუბრების გზით. ღია კონკურსით განცხადება იდება https://teacherjobs.ge/, -ზე. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. შიდა და ღია კონკურსები ტარდება ეტაპებად: ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; ბ) გასაუბრება; სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე. სკოლაში დაცულია სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლებშიც დოკუმენტები წარმოდგენილია კანონმდებლობის დაცვით, ხელშეკრულებები, სხვადასხვა ვაკანსიების შესახებ ბრძანებები, საკონკურსო კომისიის ოქმები. არ არის წარმოდგენილი ცნობები, რომლებიც მთავრობის დადგენილებით არის განსაღვრული (2020 წლის 23 ივლისი საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებები ვალდებული არიან, პირს დაწესებულებაში დასაქმებამდე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, მოსთხოვონ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა). **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;** სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა პირადი საქმეებიდან ჩანს, რომ არსებული პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. 19 პედაგოგიდან სტატუსი მოპოვებული აქვს 14-ს. პედაგოგებთან და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები აღრიცხულია და ინახება კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;** სკოლის მიზანს წარმოადგენს თანამშრომლებს შორის გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ამაღლება. ამ მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლისათვის განვითარების ხელმისაწვდომობას და თანაბარ პირობებს. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების ინიცირება ხდება მათი უშუალო ჩართულობით. კათედრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მუშაობა ეფუძვნება გუნდური მუშაობის პრინციპებს, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.** სკოლას კარგად აქვს გააზრებული, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის გაზრდას. სკოლის შიგნით საქმიანობის გაზიარება ხდება სემესტრის და წლის ბოლოს, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, სკოლა მონაწილეობდა USAID საბაზისო პროგრამაში ლიდერი მასწავლებლებისთვის, ამ პროგრამის ფარგლებში სკოლის ლიდერმა მასწავლებელმა სასკოლო საზოგადოებას გაუზიარა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკუთარი ცოდნა და გამოცდილება კლასის მართვასთან დაკავშირებულით. სკოლაში იგეგმება ღია გაკვეთილების სისტემატიურად ჩატარება, რომლის დროსაც მასწავლებლები ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ ცოდნასა, ინოვაციებს და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის შინაგანაწესი

ვაკანსიებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები

დოკუმენტი თანამშრომელთა ფუნქიების აღწერილობის შესახებ

მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;** სკოლას შემუშავებული არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, მას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის ეპიზოდური პრაქტიკა, სკოლაში არის კეთილგანწყობილი გარემო, თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. სკოლის პედაგოგები ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში. კათედრის წევრები ეხმარებიან ერთმანეთს საჭიროებების დადგენაში, პერსონალის შეფასების შემდეგ მნიშვნელოვანია შეჯამდეს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და დაიგეგმოს მისი განვითარება სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით: ტრენინგი, ქოუჩინგი, პროექტები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;** სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა ფუნქციების დოკუმენტი, სადაც გაწერილია თანამდებობების შესაბამისად უფლება-მოვალეობები, სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ მათთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად. შინაგანაწესში ასევე გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები (დისციპლინური გადაცდომების მართვის და პრევენციის მექანიზმები). სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ყველა კლასს ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;** სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლა მოტივირებულია ჰყავდეს წარმატებული კადრები, რომლებიც საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას გამოიყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. ამის დასტურია ის რომ 2022-2023 სასავლო წელს სპეციალური წესით სტატუსის მინიჭების პროცესში, სკოლიდან წარდგენილ მასწავლებლებს ხელი შეეწყოთ კარიერულ წინსვლაში. სკოლის მასწავლებლებმა სამინისტროს წარმომადგენელთან გასაუბრებისას რეკომენდაცია გაუწიეს სტატუსზე წარდგენილ კანდიდატებს, რაც დადებითად აისახა მათ კარიერულ წინსვლაზე და აიმაღლეს სტატუსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;** სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ შექმნას გახსნილი, თანამშრომლობაზე აგებული, გარემო და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნა, რომ ხდება ახალი თანამშრომლის წარდგენა სკოლაში, აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სამუშაო გარემოს, აწვდიან დაგეგმილი პროექტების თაობაზე ინფორმაციას, სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს ახალი თანამშრომლისთვის მხარდამჭერის მზაობა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან საგნობრივი კათედრები, რომლებიც ხელს უწყობენ მცირეკონტიგენტიან სკოლაში თანამშრომლების ინტეგრაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.** სკოლის ხელმძღვანელობა ცდილობს სათანადოდ შეაფასოს მასწავლებლის წარმატებები და წაახალისოს განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. წახალისების ფორმები გაწერილი აქვთ სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში არსებობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული წახალისების პრაქტიკა, კერძოდ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პერსონალის იმ ნაწილს, რომელიც იჩენს ინიციატივებს, გადაეცემათ მადლობის სიგელები და მათი წახალისებისთვის და მოტივაციის გაზრდისთვის სკოლა ამ აქტივობას საზეიმოდ (აღიარებისთვის) ახორციელებს სასკოლო გარემოში. USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში სკოლის ლიდერმა მასწავლებელმა განახორციელა სასწავლო პროექტი (ინტერვიუს სამი ნაბიჯი). აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო რაიონის სკოლების დამეგობრებას. აღნიშნული აქტივობის განხორციელებისათვის სკოლამ დააჯილდოვა ორივე სკოლის პედაგოგები მადლობის სიგელით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
სკოლის შინაგანაწესი
კათედრის სხდომის ოქმები
მასწავლებელთა და სხვა პერსონალის ტრენინგებზე დასრების დამადასტურებელი სერტიფიკატები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესის მართვა

**3.3.1.** სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;** სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის მიზანია თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პიროვნების აღზრდა. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად; სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე საქმიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;** მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები დაფუძნებულია სკოლის მიერ წინასწარ შემუშავებული სამიზნე ნიშნულების მიღწევასა და განხორციელებაზე, მიმართულია უზრუნველყოს სკოლის მისიის შესრულება. სკოლა სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნავს, რომ მკაფიოდ არ არის გამიჯნული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ მათთვის განსაზღვრული ფუნქცია მოვალეობების შესაბამისად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შემუშავებულია ანგარიშგების პერიოდული პროცედურა, რაც ასევე მმართველობითი პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ემსახურება. კერძოდ, ყოველი სემესტრის ბოლოს მასწავლებლები წარადგენენ ანგარიშს შემუშავებული სამოქმედო გეგმის შედეგებზე, ასევე დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ანგარიშს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;** სკოლას არ აქვს შემუშავებული ცალკე დოკუმენტად გასაჩივრების მექანიზმი. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა, თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათგანისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელი, ასევე გასაჩვრიბასთან დაკავშირებული წარმოების წესი და პროცედურები. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს. იმ შემთხვევაში თუ დავები ვერ გადაწყდება, უფლება აქვთ მიმართონ რესურსცენტრს ან რაიონულ სასამართლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.** სკოლა იცავს სასკოლო სუბიექტების პერსონალურ მონაცემებს კანონმდებლობის შესაბამისად. პერსონალური ინფორმაციის დაცვა ევალება დირექტორს, საქმისმწარმოებელს და კლასის დამრიგებლებს. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, რომელზეც ხელი მიუწვდება დირექციას და საქმისმწარმოებელს. გარკვეულ დოკუმენტებზე კი კლასის ხელმძღვანელს. პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების პირადი მონაცემები ასახულია სკოლის eschool-ის სისტემაში, რომელსაც მართავს საქმისმწარმოებელი. მატერიალური სახით არსებული დოკუმენტაცია კი შენახულია სეიფში/ სპეციალურ კარადაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის შინაგანაწესი

საქმის წარმოების წესი

სკოლის თანამშრომლებთან გადორმებული ხელშეკრულებები

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;** სკოლა სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს სხვადასხვა საშუალებებით. უპირველეს ყოვლისა ესაა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები სასკოლო თემთან სასკოლო სივრცეში. სკოლაში აქვთ საინფორმაციო დაფა, რომლის გამოყენებითაც ხდება ინფორმაციის გავრცელება და იგი მუდმივად განახლებადია. სკოლა ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და ინფორმირებას ახორციელებს სკოლის facebook გვერდისა და facebook ჯგუფების საშუალებით. სკოლას აქვს მშობლებისგან და ბავშვებისგან უკუკავშირის პრაქტიკა, მშობლებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება ზეპირსიტყვიერად სოც. ქსელებისა და სატელეფონო საუბრების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.** წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს და ვიზიტის დროსაც სკოლამ აღნიშნა, რომ სასკოლო

საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კოლეგიალურ ორგანოებში: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ფეისბუქ გვერდი
სამეურვეო საბჭოს ოქმები
პედაგოგიური საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;** სკოლაში დაცულია თანამშრომლების და მოსწავლეების ფიზიკური უსაფრთხოება. შენობა აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით. ასევე, ჰყავთ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დარაჯი და ექთანი. არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემითა და შესაბამისი საევაკუაციო გეგმით. სკოლაში მოსწავლის არყოფნის შემთხვევაში კლასის დამრიგებლებს აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან და ხდება გაცდენის მიზეზის დადგენა, სკოლა აპირებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დასკვნა მოამზადებინოს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს. სკოლას ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ <u>ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ამიტომ მიეცა რჩევა შესაბამის სპეციალისტთან ხელშეკრულების გასაფორმებლად. ასევე მიეცა რჩევა შეასრულოს ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების რეკომენდაციები (სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიწერილობა N43 02/02/2023) სკოლას არა აქვს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან მიწერილი წერილი, სადაც ითხოვს შეისწავლონ სკოლის ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა და შესაბამისად, განისაზღვროს მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია .**

**2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;** სკოლას არ ჰყავს მანდატური. ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლებს შორის დაწესებულია ყოველდღიური მორიგეობა რომლებიც კლასის ხელმძღვანელებთან ერთად სკოლის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე პასუხისმგებლები არიან წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე. წესრიგის დაცვის პოლიტიკა გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ამავე დოკუმენტში გაწერილია წესრიგის დამრღვევი პირისთვის შესაბამისი სანქციები, სკოლას აქვს მასწავლებლის და მოსწავლის ეთიკის კოდექსი, რომელიც პლაკატის სახით გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;** სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. კლასის ხელმძღვანელები თავიანთ სადამრიგებლო კლასებში კლასის საათზე ატარებენ საუბრებს პრობლემებსა და გამოწვევებზე. მასწავლებლები გამოხატავენ მოსწავლეთა მიმართ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არ დაფიქსირებულა მოსწავლეებზე ძალადობის ფაქტი, მსგავსი ფაქტის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას შიდა ინსტრუქციების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;** სკოლას ჰყავს დამლაგებლები, რომელთა უპირველესი მოვალეობაა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. ამასთანავე სკოლაში არსებობს ყველა ის სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, რომლებიც საჭიროა ამ მიმართულებით უსაფრთხოების ნორმების დასაცავად. ასევე სკოლა წლის განმავლობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობს კომპანია „სუფთა სახლთან“, რომელიც ყოველ კვარტალურად სკოლის შენობაში, ეზოში ატარებს დეზინფექციურ სამუშაოებს. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი. მომავალში სკოლა გეგმავს შეიმუშავოს დასუფთავებისა და ინფრასტრუქტურის შემოწმების მექანიზმი, რომელშიც გაწერილი იქნება თუ როგორ განხორციელდება მონიტორინგი და ვინ იქნება მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი/პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;** სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; საქმისწარმოების წესები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისთვის მოსამზადებლად. ეს წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე ( მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;** სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ მონაცემებს შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან. სკოლას აქვს დაცული, მატერიალური სახით არქივი. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს მოსწავლის საუკეთესო ინეტერსებიდან გამომდინარე. კერძოდ, თუ საჭიროება მოითხოვს მოსწავლეთა ფოტოების გამოქვეყნებას, სკოლას მშობლებიდან მიღებული აქვს თანხმობა. სკოლას ინფორმაციის გაცემაზე ბრძანებით განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირი - საქმეთა მმართველი. მოსწავლის პირადი მონაცემებისა და აკადემიური მოსწრების კონფიდენციალურობის დაცვა განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა:

ელექტრონული ჟურნალი, სადაც ასევე გარანტირებულია მოსწავლის მონაცემების დაცვა და Teams-ის პლატფორმა, სადაც სრულად დაცულია მოსწავლის პერსონალური მონაცემები ელექტრონულ პროგრამაში (Teams) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

**7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.** სკოლას აქვს ვიდეოკამერები რომლებიც მოწმდება პერიოდულად, ვიზუალური დათვალიერებით და სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობის გატესტვით. ტარდება ინვენტარიზაცია, ხორციელდება ინვენტარის ვარგისიანობის შემოწმება თუმცა ამ ეტაპზე არ აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. ფუნქციონირების პერიოდული შეფასების პრაქტიკა ან რაიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, მხოლოდ დირექცია-ადმინისტრაციის მიერ, ზეპირი წესით ხდება გამოწვევების იდენტიფიცირება და ზოგადპრევენციული სახის ღონისძიებათა გატარება. აღნიშნულ საკითხზე რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება არ არსებობს,

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

30/06/2023 წერილი სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მდგრადობაზე

ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი N03 12/02/2019

საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ .

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მშობლის თანხმობის ფურცელი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;** სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ორ მისამართზე, სოფელი ჩხიკვთა და სოფელი აბელიანი. სოფელ აბელიანის ტერიტორიაზე განთავსებული სკოლის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია 10200კვ.მ, შენობა-ნაგებობები 1,2,3,4,5, შენობა არის ძველი აშენებული, სარემონტოა, არ არის ადაპტირებული. სოფელ ჩხიკვთაში შენობა ახალაშენებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, აღნიშნული შენობა როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ჩანს არის სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და შენობების ჩამონათვალში მითითებულია მშენებარე შენობა N1; N2. სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 7 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დგინდება რომ მუნიციპალური განვითარების ფონდმა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ შ.პ.ს. ,,ჯავა“-გან ჩაიბარა 60 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის შენობა, ამჟამად სკოლაში ირიცხება 21 მოსწავლე, არ ყავთ სსსმ მოსწავლე. სკოლა აღჭურვილია შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა საჭირო მატერიალური რესურსით. სკოლის ინფრასტრუქტურა (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სასადილო ოთახი) სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. სასკოლო გარემო იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა აქტივობების განხორციელება. ხოლო შესვენებაზე, მათ სრულფასოვნად დასვენების საშუალება აქვთ, რასაც ხელს უწყობს სკოლის კეთილმოწყობილი ეზო, სტადიონი, სასადილო ოთახი. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკით. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, მაგრამ არ აქვს შესაბამისი რესურსი/ კომპიუტერული მოწყობილობების საჭირო რაოდენობა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;** სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება ისარგებლოს და გამოიყენოს სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი, ეს იქნება კომპიუტერული ტექნიკა, საგანმანათლებლო, სპორტული თუ სხვა სახის რესურსები. სკოლაში გამოყოფილია სივრცე სადაც ეწყობა სასკოლო აქტივობები, ზეიმები, პრეზენტაციები, მშობელთა კრებები. სკოლის მოსწავლეები პრეზენტაციაზე სამუშაოდ იყენებენ ისტ-ის კაბინეტს. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და შემუშავებული აქვს ,,ბიბლიოთეკის მუშაობის დებულებაც“ , სკოლას არ აქვს სარეკრეაციო სივრცე, მაგრამ ეზოში განთავსებულია სკამები. გასულ სასწავლო წელს სკოლის საზოგადოების აქტიური ჩართულობით გამწვანდა სკოლის ეზო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;** დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სოფელ ჩხიკვთაში ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი რომ სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, რომელიც საშუალებას

აძლევს ყველა მოსწავლეს გამოავლინოს საკუთარი ინტერესები და შესაძლებლობები. სკოლა აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურული რესურსებით, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სკოლას ასევე აქვს გარე სპორტული მოედანი. სოფელ აბელიანში კი სასურველია სკოლამ იზრუნოს შენობის ადაპტირებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;** სკოლაში არის სივრცე, სადაც ტარდება მასწავლებლების, მოსწავლეების, ან ერთობლივად შემუშავებული ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მეგობრული გარემოს შექმნას სადაც გაზიარებულია სკოლის მოსწავლეების და მასწავლებლების ღირებულებები. ასეთ გარემოში ხდება სწორედ პოზიტიური სოციო-კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბება და ფორმირება. აღსანიშნავია ის ფაქტი სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი ზრუნავს ამაზე, მაგალათად სკოლის მოსწავლეებმა სკოლის ეზოს გალამაზებაში მიიღეს მონაწილეობა და დღემდე აქტიურად აგრძელებენ ამ პროცესს. სკოლა ხშირად ატარებს სპორტულ ღონისძიებებს, რისთვისაც იყენებენ გარე სპორტულ მოედანს. სპორტული აქტივობების შესრულებისას ბავშვები მუშაობენ გუნდურობის, ურთიერთმხარდაჭერის, ჯანსაღი შეჯიბრისა და სხვისი გამარჯვების აღიარების პრინციპების დაცვით. სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდით შეუფერხებლად სარგებლობენ მოსწავლეები და მასწავლებლები. სკოლის ბიბლიოთეკაში მოსწავლეები ხშირად ჯგუფურად მუშაობენ, ამ პროცესში ჩართულ მოსწავლეებს უვითარდებათ შემდეგი კულტურული ღირებულებები: სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა, საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება, ინფორმაციის მოძიების პროცესში პასუხისმგებლობები გაზიარებული და გადანაწილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).** სკოლა აქტიურად იწყებს მესამე

თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას, მაგრამ სკოლას ნაწილობრივ გააჩნია სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული პროცესებისთვის საჭირო რესურსი. სკოლას აქვს ყველა ბავშვისთვის რაოდენობრივად საკმარისი სახელმძღვანელოები სახვადასხვა მიმართულების საგნების თვალსაჩინოებები და გარკვეული ხელსაწყოები. თუმცა საბუნებისმეტყველო და ასევე კომპიუტერული ლაბორატორიისთვის აქვს გამოყოფილი ოთახი, ასევე სკოლამ წარმოადგინა წერილი რომლითაც დამატებით ითხოვს კომპიუტერულ ტექნიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

(მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - აბელიანი

მიღება ჩაბარების აქტი ჩხიკვთას სკოლის შენობის 07/06/2022

30/06/2023 წერილი სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მდგრადობაზე

წერილი თეთრიწყაროს მერს MES 5 23 0001341745 10/10/2023

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;** სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორიისთვის განსაზრვრული კეთილმოწყობილი სივრცე, აქვს პროექტორი, პრინტერი, კომპიუტერები, რომელსაც სკოლის თანამშრომლები მოიხმარენ, მაგრამ არ არის საკმარისი რაოდენობით, როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა სკოლა ჩართულია კომპიტერული ტექნიკით უზრუნველყოფის პროგრამაში და ელოდებიან ტექნიკას სამინისტროსგან. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.** სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია, მიუხედავად მისი მცირე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსისა, სასწავლო პროცესის დროს ხელმისაწვდომია სკოლის ნებისმიერი სუბიექტისთვის. მაგ: მე-7 კლასმა პროექტ „ჩვენი სკოლის" ფარგლებში აქტიურად გამოიყენა სკოლის კომპიუტერული ტექნიკა და ისტ-ის კაბინეტი პროექტზე მუშაობის პროცესში და პროექტის პრეზენტაციისათვის. სკოლა აღჭურვილია ცენტრალური WiFi სიტემით, წარმოდგენილი კურიკულუმებიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ციფრულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ვიზუალური დათვალიერება

პროექტი ,,ჩვენი სკოლა" დოკუმენტი

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;** სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოება მიმდინარეობს საქმისმწარმოებლის მიერ, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. საქმისმწარმოებლის მოვალეობები გაწერილია სკოლასა და საქმისმწარმოებელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. დოკუმენტაციის ბრუნვა წარმოადგენს დაწესებულებაში დოკუმენტების მოძრაობის ერთიან ციკლს, მისი შექმნის ან შემოსვლის (მიღების) მომენტიდან, მის შესრულება-გაგზავნამდე (შენახვა/განადგურების ჩათვლით). სკოლაში დოკუმენტის ბრუნვა წარმოებს როგორც მატერიალური ფორმით (საქართველოს ფოსტის საშუალებით), ისე ელექტრონულად. სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow-ს სისტემას. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;** სკოლას აქვს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow.emis.ge. Email@mes.gov.ge, ასევე Escool.emis.ge, Microsoft Teams. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი

მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;** სკოლის eschool-ის ბაზაში განთავსებულია თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმაცია, გაკვეთილების ცხრილები, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა, სტატუსი, ხელფასი, სტაჟი, დამრიგებლის სტატუსი და სხვა პირადი მონაცემები. ასევე, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები. მოსწავლეთა შესახებ შემდეგი ინფორმაცია: კლასის დაძლევა, ექსტერნი, მობილობა, მოსწავლეთა სტატუსი(სსსმ, შშმ, სოციალური), არჩეული სახელმძღვანელოების დასახელებები, პირველ კლასელთა ლიმიტები და ყველა ის მონაცემი, რაც საჭიროა სრულფასოვანი ბაზისათვის. eschool-ის ბაზას სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია იყენებს წარმატებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.** სკოლა რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ მარეგულირებელ უწყებებს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, მასწავლებლის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და თანამშრომლობს მათთან. სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში escool.emis ge კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში ასახავს ინფორმაციებს ბაზის განახლების შესახებ - მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა შესახებ, მოსწავლეთა მობილობას, ექსტერნატის შედეგებს, სახელმძღვანელოების არჩევას, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებას, პირველკლასელთა რეგისტრაციას, კურსდამთავრებულთა ამორიცხვას, საშტატო განრიგის დამტკიცებას, გაკვეთილების ცხრილის ასახვას, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების, სასკოლო საათობრივი ბადის ასახვას, და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

Email@mes.gov.ge,
საქმისწარმოების წესი
შრომიტი ხელშეკრულება საქმისმწარმოებლის

## 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;** სკოლას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმი შევსების დროს არ ჰქონდა ოფიციალური ვებ. გვერდი, თუმცა ვიზიტის დროს უკვე ჰქონდა ვებ გვერდი, მაგრამ ინფორმაცია ჯერ არ იყო შეტანილი. სკოლამ წარმოდგინა 2023 წლის 18/08 წერილი N MES 9 23 0001012474 რომლითაც განსაზღვრულია სკოლის ვებ-გვერდზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ასევე შექმნილი აქვს საკუთარი facebook გვერდი, რომელზეც აქტიურად ხდება სკოლის და სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სკოლა facebook-ის საშუალებით ხშირად უზიარებს მოსწავლეებს და მათ მშობლებს ინფორმაციას. კერძოდ, Facebook ჯგუფების გამოყენებით კლასის ხელმძღვანელები მშობლებს აცნობენ ინფორმაციას ღონისძიებების, ექსკურსიებისა და სხვა აქტივობების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;** სკოლის facebook გვერდზე საჯაროვდება მხოლოდ დადასტურებული და სანდო ინფორმაცია, რომელსაც სკოლა იღებს სანდო და ოფიციალური საიტებიდან (განათლების სამინისტროს გვერდი, მასწავლებლის სახლი, რესურსცენტრი). ინფორმაცია მუშავდება სკოლის ადმინისტრაციისა და დირექციის მიერ და შემდეგ საჭიროებისამებრ თავსდება სკოლის სოციალურ ქსელში/ იგზავნება ადრესატთან. ასევე სკოლას ფოიეში აქვს სტენდი სადაც ასევე განთავსებულია გარკვეული ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;** სკოლა აქტიურად იყენებს მისთვის მიცემულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს, რათა სკოლაში მიმდინარე პროცესები გახადოს მეტად ეფექტური. უკუკავშირს და რეკომენდაციებს იღებს, როგორც სასკოლო თემისგან, ასევე საგანმანათლებლო ინსტიტუტებისგან ფოსტის/ზეპირი გადმოცემის საშუალებით. ითვალისწინებენ საზოგადოების შეხედულებებს და მოსაზრებებს სასწავლო პროცესის/სასკოლო ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; სკოლას ახლა აქვს ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2157 სადაც ეტაპობრივად განათავსებს ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ამ ეტაპზე სკოლას მსგავსი სახის ინფორმაცია არ აქვს განთავსებული, თუმცა განსაზღვრული ჰყავს ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლა გეგმავს ახლო მომავალში ინფორმაცია ეტაპობრივად შეიტანოს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია .**

   დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

წერილი MES 9 23 0001012474.. 18/08/2023

**ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2157**
**https://www.facebook.com/profile.php?id=100085032038538**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;** სკოლა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს დაფინანსებას. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ხმარდება შრომის ანაზღაურებას. სკოლის შეუფერხებელი საქმიანობისთვის საჭირო საოფისე ნივთების შეძენას, კომუნალურ გადასახადებს. შესყიდვების გეგმის შედგენა ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. სკოლა ბიუჯეტის შემუშავებისას ხელმძღვანელობს გასული წლების ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზის შედეგებით; ითვალისწინებს მოსალოდნელ

რისკებს, გარე ფაქტორებს. ბიუჯეტის დაგეგმვის წინ ხდება წინა წლის განხორციელებული შესყიდვების ანალიზი და ბაზრის კვლევას. ამ ეტაპზე სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლას შეიძლება დეფიციტი შეექმნას ზამთრის სეზონზე კომუნალური გადასახადების დაფარვის კუთხით,

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.** სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარადგენს ბიუჯეტის გეგმას დასამტკიცებლად ყოველი წლის 10 დეკემბრამდე. ასევე, 10 დეკემბრამდე  წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. წლის დასაწყისში სკოლა რესურსცენტრს წარუდგენს წლიურ ფინანსური ანგარიშის დოკუმენტს. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში შედის მასში ცვლილებები სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. სკოლას აქვს სამოქმედო გეგმის შესაბამისი  დაფინანსების დინამიკა;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დირექტორის ფინანსური ანგარიში

სკოლის ბიუჯეტი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;** ბავშვის ძირითადი უფლებები სკოლაში რეგულირდება „განათლების შესახებ„ კანონისა და „ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონით, ასევე იმ საკანონმდებლო აქტებით, სადაც გაწერილია ბავშთა უფლებები. ძირითადი შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა არის სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლეებს უფლება აქვთ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, ისარგებლონ სასკოლო რესურსებით, მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას უზრუნველყობს თითოეული მასწავლებელი და ადმინისტრაცია სკოლას ასევე შემუშვებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის წესი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;** სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და მისი გაცნობის საშუალება თანაბრად აქვს სკოლის საზოგადოების ყველა წევრს. მოსწავლეთა უფლებები და ქცევის წესები გამოკრულია პლაკატების სახით და მოსწავლეებს აქვთ გაცნობის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.** მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია თანხმობის ფორმები მოსწავლეთა ფოტოების, პირადი ინფორმაციის საჯაროდ გამოყენების შესახებ. მომავალში სკოლა გეგმავს შეიმუშავოს მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების სრულფასოვანი ფორმა, სადაც იქნება წარმოდგენილი პასუხისმგებლობების და მათი პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეს დოკუმენტი განახლდება ყოველწლიურად, სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმდება ინდივიდუალურად თითოეულ მშობელთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრანება

მშობელთა კრების ოქმი

ბრძანება N32 10/10/2023 უსაფრთხოების პოლიტიკის წესის დამტკიცების შესახებ
მშობლის თანხმობის ფურცლი

### 4.1.2 სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;** სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით. დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, მოსწავლის საფეხურის დაძლევის საკითხები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;** მოსწავლის ჩარიცხვა ასევე სტატუსის შეჩერება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილე წესით. მშობლის განცხადების საფუძველზე ხდება პირველკლასელი მოსწავლის დარეგისტრირება ხოლო დირექტორის ბრძანებით პირველ კლასსი ჩარიცხვა. საფეხურის დაძლევა და კლასიდან კლასში გადაყვანა განიხილება პედსაბჭოზე და დირექტორის ბრძანებით ხდება საფეხურის დაძლევა და კლასიდან კლასში გადაყვანა. მობილობა ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანომდებლობით დადგენილი წესით მშობლის განცხადების საფუძველზე და სხვა სკოლის მოთხოვნის შესაბამისად დირექტორი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ბაზიდან ამორიცხავს მოსწავლეს პარალელურ რეჟიმში დავათვალიერეთ მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც ასევე მოწესრიგებულია იგივე საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;** სკოლას არ ჰქონდა დაგეგმილი ფასიანი მომსახურება, რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია, ინფორმაციის გავრცელება და საჯაროობა ხორციელდება სკოლის სოციალური ქსელით, სოციალური ჯგუფებით და პირადი სატელეფონო კომუნიკაციით. იგეგმება მშობლების ანკეტირება-გამოკითხვის საფუძველზე განისაზღვროს და დაიგეგმოს ისეთი წრეების ფუნქციონირება, რომლებიც სრულად გაითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.** საჭირო ინფორმაციას სკოლა ავრცელებს პერსონალური ინფორმაციის გაცემის წესების შესაბამისად. ინდივიდუალურ შეხვედრებზე/ ან სატელეფონო საუბრით. ამისათვის იყენებს საინფორმაციო დაფას, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სტენდზე. სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც ეტაპოვრივად შეიტანს ინფორმაციას, ასევე ზოგადი კომუნიკაციისთვის და სიახლეების/აქტივობების გასავრცელებლად იყენებს სკოლის სოციალურ გვერდს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ჩარიცხვა ამორიცხვის ბრძანებები
e-school-ის ბაზა;

სოციალური ქსელი;

ვებ-გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;** სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი დოკუმენტურად არ აქვს, გეგმავს მის შემუშავებას. სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. სკოლისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის უმტკივნეულო ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა, ამისთვის სკოლა გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებას. როდესაც შემოდის ახალი მასწავლებელი და ჩნდება ახალი საგნები, ამის შესახებ დამრიგებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;** სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ნებისმიერ მოსწავლეს, ხელს უწყობს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. მათ მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების დოკუმენტის შესაბამასად. დამრიგებლის მიერ დადგინდება მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები და განხორციელდება ამ საჭიროებების შესაბამისი აქტივობები. სკოლას გააჩნია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის კლასებში მერხები განლაგებულია ასაკის შესაბამისად, სკოლა აღჭურვილია ყველა აუცილებელი ინვენტარით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**
3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;** აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაცია აღწერილია სასწავლო გეგმაში, რომელსაც მოსწავლეებს დამრიგებელი აცნობს. ასევე, ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით მშობლისთვის ხელმისაწვდომია შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა დამრიგებელი/ საგნის მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობს საჭირო ინფორმაციას, ხოლო არსებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მშობელთან შეთანხმებით, სთავაზობს მოსწავლეს ინდივიდუალურ მეცადინეობას სკოლის ტერიტორიაზე, გაკვეთილების შემდეგ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;** სკოლას აქვს შემუშავებული სისტემა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისათვის. სასკოლო ასაკს მიღწეულ ბავშვთა მშობლები ინფორმირებულნი არიან ჩარიცხვის და მობილობის ვადების შესახებ. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მათი ინფორმირება ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონულად სოც.ქსელის გამოყენებით, სატელეფონო კომუნიკაციით ან პირადად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;** სკოლა კანონმდებლობით დადგენილი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი, არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მხარდაჭერას. სკოლა მოსწავლეთა მცირე კონტიგენტიდან გამომდინარე, ახორციელებს ინდივიდუალურ კომუნიკაციას. არაფორმალური განათლების განვითარებისათვის სკოლაში ხშირად ეწყობა სხვადასხვა აქტივობები. მაგ: დაიგეგმა გასვლითი აქტივობა მიმდინარე სასწავლო წლის მაისის დასაწყისში ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად ჩხიკვთას საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პატივი მიაგეს სამამულო ომში დაღუპული გმირებს და დაასუფთავეს გმირთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორია. ასევე, მედიაწიგნიერების და ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა პრეზენტაცია „როგორ ამოვიცნოთ ყალბი ინფორმაცია“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.** როგორც წესი, ასეთი უკუკავშირები ზეპირად გაიცემა, მყისიერად რის შედეგადაც მოსწავლეები ხდებიან თავდაჯერებულნი და უმაღლდებათ მოტივაცია. არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებთან ერთად მშობელთა ხშირი ჩართულობა ქმნის თბილ და მეგობრულ გარემოს და უზრუნველყოფს პოზიტიურ უკუკავშირს. სკოლა სტანდარტულად უდგება ამ საკითხს და აქვს მხარეთა ჩართულობის იმედი. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სკოლის ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის ახლებურად გაგება, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას, რაც თავის თავში მოიცავს უკუკავშირის ფორმატში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცემულ რჩევებს და რეკომენდაცია/სურვილებს(საზოგადოების მხრიდან, მათ შორის ვებ.და Facebook გვერდების გამოყენებით). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

პროექტის ამსახველი მასალა

კათედრის სხდომის ოქმები

ფოტომასალა

## 4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;** სკოლა სამომავლოდ გეგმავს ითანამშრომლოს კოლეჯებთან და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს პროფორიენტაციის განსაზღვრაში. ასევე, დამრიგებლები მიაწვდიან ინფორმაციას არსებული პროფესიებისა და კოლეჯების შესახებ. იგეგმება ექსკურსია რომელიმე საწარმოში, პროფესიულ სასწავლებელში ან უნივერსიტეტში. სკოლა მომავალში გეგმავს საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეებთნ ჩაატაროს ღია გამოკითხვა, რაც შემდგომში დაეხმარება მოსწავლეებს გამოავლინონ მათი ინტერესები , რომელიც დაეხმარებათ მომავალი პროფესიების შერჩევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;** სამომავლოდ სკოლა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრისთვის მემორანდუმს გააფორმებს პროფესიულ სასწავლებლებთან, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, რომლის განსაზღვრაც განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრებზე. მოსწავლეები გაეცნობიან მოთხოვნად პროფესიებს და სასურველს აირჩევენ. ამ გზით სკოლა შეეცდება მხარი დაუჭიროს მათ პროფესიულ ორიენტაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.** სკოლა თავისი პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კუთხით აქტივობების შესახებ უკუკავშირს იღებდა სიტყვიერი კომენტარის სახით კურსდამთვრებულებისგან, ამიტომ არ ხერხდება მტკიცებულებების წარმოდგენა. მომავალში სკოლა გეგმავს შეიმუშავოს ღია კითხვარის ფორმა, რომლითაც განისაზღვრება პროფორიენტაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები .სკოლა მოახდენას მიღბული შედეგების ანალიზს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

. სოციალური ქსელი

განხორციელებული პროექტები

ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

**4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;** სკოლის სასწავლო გეგმაში გაწერილია ის პროცედურები, რომელსაც სკოლა განახორციელებს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებისათვის - მულტიდისციპლინური გუნდისათვის მიმართვისათვის ისგ-ს ჯგუფების შექმნისა და საქმიანობისათვის. სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს. სკოლაში სსსმ მოსწავლის შემოსვლის შემთხვევაში სკოლა შეისწავლის მოსწავლის საჭიროებებს და მათი გათვალისწინებით შეიქმნება

ისე, რომლის მიხედვითაც სპეც მასწავლებელი იმუშავებს მოსწავლესთან. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლისათვის გათვალისწინებული პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.** სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის წინსვლისა და მხარდაწერის საკითხები, საჭიროების შემთხვევაში სკოლა აიყვანს სპეც. მასწავლებელს და მოეწყობა რესურსოთახი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა
სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

**4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);** ვინაიდან სკოლა მცირეკონტიგენტიანია საჯარო სკოლას თავისი მოსწავლეებისათვის ასეთი ტიპის მომსახურება არ შეუთავაზებია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;** სკოლა ცდილობს საგანმანათლებლო პროცესში მრავალფეროვანი მიდგომები გამოიყენოს. როდესაც ხდება სხვადასხვა საგნებში სხვადასხვა თემების შესწავლა ეწყობა სასწავლო ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა მოსწავლეებმა უკეთესად გაიაზრონ და განიმტკიცონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული ცოდნა სხვადასხვა შთაბეჭდილებებით. ექსკურსიებზე დასწრება მოსწავლეებისთვის ნებაყოფლობითია. მცირეკონტიგენტიანობის გამო ვერ ხერხდება დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების დაგეგმვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.** ამ ეტაპზე სკოლაში მცირეკონტიგენტიანობის გამო არ სრულდება დამატებითი მომსახურების სერვისი, და თუ დაგეგმავენ შესაბამისად განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა
ფოტომასალა
სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.1.1.1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“**

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ძირითადი ეტაპები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის აგების, დანერგვისა და განვითარების პრინციპები, ხოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები. დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრმა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და უზიარებდნენ არსებულ გამოცდილებას. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პრაქტიკა სკოლისთვის სიახლეა, თითოეულმა მასწავლებელმა ტრენინგების საფუძველზე ინდივიდუალურად დაიწყო კურიკულუმების მომზადება. კურიკულუმები რომელიც ითვალისწინებს საგნობრივ საკითხებს, შესაბამის სამიზნე ცნებებსა და ტერმინებს მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და უნარებზე. გასულ წელს მასწავლებლებს ჰქონდათ კომპლექსური დავალებების დანერგვის რამდენიმე მცდელობა. მიმდინარე სასწავლო წელს კათედრა აპირებს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების იდენტიფიცირებას კითხვარების მეშვეობით, საჭიროებების დადგენას, რათა კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლის, დირექციისა და მშობელთა ჩართულობა უფრო გაიზარდოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება, კერძოდ, საგნის მასწავლებლები თანამშრომლობის პროცესში ითვალისწინებენ საკუთარ და ერთმანეთის გამოცდილებას, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემები, გათვალისწინებულია პრიორიტეტები და ინტერესები. თუმცა კათედრები გეგმავენ სამომავლოდ გამოკითხვების მეშვეობით უფრო მეტად გაითვალისწინონ სასკოლო საზოგადოების ინტერესები. აქტივობები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდასა და განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა კათედრის წარმომადგენლებთან. ატარებენ ინტერგირებულ გაკვეთილებს, ახორციელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტს. პედაგოგები მიმდინარე სასწავლო წლიდან გეგმავენ უფრო მეტი კომპლექსური დავალების განხორციელებას თითოეულ კლასში და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. დავალებების იდეების, რესურსების, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა ხდება მშობელთან კრებებზე და სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. ამასთან, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით იკვეთება, რომ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად იგეგმება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის, მაგ. სკოლის ვებ.გვერდის, სასკოლო საჯარო ღონისძიებების, სოციალური მედიისა და სხვა გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სკოლის თითოეულ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. გარდა ამისა, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და შემუშავებულია მათი ასაკის შესაბამისად, ხოლო დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრებზე ხდება ურთიერთგანხილვა, დისკუსია და შემდეგ საბოლოო შეჯერება. გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ პედაგოგებს სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების იდეა და კურიკულუმის აგების პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

სკოლის დაწყებითი საფეხურის წლიური კურიკულუმები, მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები, ფორმალური და არაფორმალური აქტივობები დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია 6 ფუქნციური უნარის განვითარებაზე. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის მექანიზმებს შორის. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში, მაგალითად, მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება, რომ სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, ასევე, მკვიდრი წარმოდგენები სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად, თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას. სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის შეძენაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის შეძენა კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე დაყრდნობით ხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**რჩევა: მე და საზოგადოება**
მესამე კლასის კურიკულუმში, მეორე და მესამე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: 1 პიროვნება; 2. ცვლილება.
მეოთხე კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება: 1. საზოგადოება.
**ჩვენი საქართველო**
მეექვსე კლასის კურიკულუმში, არ არის წარმოდგენილი სამი სავალდებულო თემა: 1. აფხაზეთი; 2. თბილისი; 3. სახელმწიფო-ჩვენი საქართველო. აღნიშნული საჭიროებს გამოსწორებას.
მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს.

### 2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

მასწავლებელთა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს - მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს. მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში ცდილობენ სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით უზრუნველყონ კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში ჩართულობის ზრდა. კათედრები გამოთქვამენ მზაობას გაკვეთილზე დიფერენცირებული მიდგომები უფრო აქტიურად გამოიყენონ და დაგეგმონ საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი მასწავლებლებს მეტი ფუფუნება აქვთ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებს მოერგონ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლეებს შეფასება ეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი. აღნიშნულის გათვალისწინებით კათედრებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი და

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (მაგ. უცხოურ ენაში - თარგმანის, გრამატიკული ტესტის, თემის შეფასების, კარნახის, ზეპირი დავალების...) შესაბამისად, მასწავლებელთა მხრიდან მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება. ისინი ხშირად იყენებენ შეფასების სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს. სკოლას განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი აქვს არჩეული. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. მიმდინარე სასავლო წელს სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების გამოყენებას, თავდაპირველად რამდენიმე კათედრის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სასურველია ესთეტიკური აღზრდის საგნებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტდეს და მორგებული იყოს სხვადასხვა თემაში სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე.

## 2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მათში მოცემული თემები და საკითხები, მოცემული აქტივობები, რომლებსაც მიმდინარე სასწავლო წელს მიმართავენ მასწავლებლები, ნათლად წარმოაჩენს ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის. სასწავლო პროცესში მასწავლებელთა დაკვირვების შედეგად ხდება მოსწავლის წინარე ცოდნის დადგენა, დადგენა იმისა თუ რა შეიძლება დაშენდეს ამ ცოდნაზე. ახალი ცოდნა მიიღება წინარე ცოდნის გათვალისწინებით. ამასვე მოწმობს მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება. მათი თქმით, მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, ხდება უერთიერთდასწრება და ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი

შეფასება:

1. *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
2. *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლაში არ არის სათანადოდ მოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია, შესაბამისად, საფრთხე ექმნება ტექნოლოგიების კურიკულუმის განხორციელებას დაწყებით საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.**

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

### 2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მოსწავლეს, სავალდებულო თემების ფარგლებში, სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს, კომპლექსური ბუნების დავალებები კი მას ამლევს შესაძლებლობას შექმნას სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროდუქტი (პოსტერი, ბუკლეტი, ელექტრონული წიგნი და სხვა). როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მათ მიერ შეთავაზებული არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას. გარდა ამისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები. ამ მხრივ აქტიურად მუშაობენ კათედრები როგონც საკუთრივ საკუთარი კათედრის ფარგლებში, ასევე სხვა კათედრებთან ინტეგრირებითაც. შესაბამისად, „სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის კურიკულუმები აგებულია წინარე ცოდნის გათვალისწინებით. საკითხების შერჩევის დროს ჩანს სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე, პედაგოგები განსაზღვრავენ საკითხებს, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით, ასევე აღწერენ აქტივობებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსებს, რომელიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა წელს შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

სკოლის დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის შეძენაზე, არამედ სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენების დაუფლებაზე. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები სწორედ ამის საშუალებას იძლევა. იმ აქტივობების შესრულებით, რასაც საბოლოო პროდუქტამდე მივყავართ, მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას და ახდენენ მის ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროექტებს და კომპლექსურ დავალებებს, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპისა და სირთულის აქტივობებს. მიმდინარე წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანებს, სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება უწევთ, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. შესაბამისად მოსწავლეთა მიერ შესრულებული თუ სამომავლოდ დაგეგმილი დავალებები, მათი საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**

მასწავლებლებთან გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა რომ მიმდინარე სასწავლო წელს ისინი ცდილობენ სხვადასხვა საინტერესო კომპლექსური დავალება შესთავაზონ მოსწავლეებს. კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია არამარტო პირობისეულ ცოდნაზე, არამედ, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივი უნარების გააქტიურებას. კომპლექსური დავალების შესრულებისას განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ცოდნის ორგანიზებაში კი მოსწავლეს ხელს უწყობს არაფორმალური აქტივობები და პროექტული სწავლება. სკოლაში ჩანს რომ არსებობს ინტეგრირებული მუშაობის გამოცდილება. მაგ.: პროექტი „სამი ნაბიჯის" ფარგლებში, რამდენიმე კათედრამ იმუშვა ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ნიმუში
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი

### 2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოსა და კომპლექსურ დავალებებში ჩანს ორიენტირი სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. დაწყებითი საფეხურის წლის კურიკულუმში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანი, სამიზნე ცნებები და საგნობრივი საკითხები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დანართების გაანალიზება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებიებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. თუმცა ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. გასაუბრებისას მასწავლებელმა აღნიშნა, რომ არ აქვს კომპლექსური დავალებით მუშაობის გამოცდილება, თუმცა პედაგოგის მაღალი მოტივაცია და სურვილი იმისა, რომ აიმაღლოს საგნობრივი კომპეტენცია და სტანარტის შესაბამისი მოთხოვნები ეფექტურად დააკმაყოფილოს, გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ მიმდინარე სასწავლო წლის მანძილზე იგი შეძლებს კომპლექსური დავალებების აქტიურად დანერგვას პრაქტიკაში. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

**რჩევა:** სასურველია, სკოლამ იზრუნოს ტექნოლოგიების პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მისცეს შესაძლებლობა გაიაროს სათანადო ტრენინგები, რათა პედაგოგი უკეთ გაეცნოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სიახლეებს და უფრო ეფექტურად შეძლოს კურუკულუმების დანერგვა პრაქტიკაში.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

### 2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების, მათი ინტერესების გათვალისწინებით, რასაც მოწმობს შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო და განხორციელებული კომპლექსური დავალებები. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიულ განვითარებას, ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებას. კათედრების მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტებიც სწორედ ამ საკითხებს ეხმიანება. გასაუბრების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლასის საათები და კლასის საათის ფარგლებში განხილული თემები მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვის მაგალითია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები) შესწავლის შედეგად, იკვეთება, რომ არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება, ზეპირი და/ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წერილობითი უკუკავშირი. შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ.

შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სხვადასხვა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რაც სკოლის პრაქტიკაში გამოიყენება. აგრეთვე დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ნიმუში, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა რომ ხდება ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით იგეგმება სადიაგნოსტიკო დავალებების შესრულება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, ცოდნის სამივე ტიპის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) კონსტრუირებას, ხოლო შემდეგ შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.2.2.4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწვალეებთან, რათა მიზნობრივად შეირჩეს ინსტრუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ერთ მხირვ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწავლეების ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კათედრის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ მეთოდოლოგიურ დანართში, გარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამისა გამოკვეთენ, რომ კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შექმნისას დაეყრდნობიან დავალების კრიტერიუმებს, შესაბამისად მოსწავლისთვის მკაფიო გახდება დავალების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.**

სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება, განხილვა და ანალიზი, გაიცემა უკუკავშირი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე განიხილება მოსწავლეთა ნამუშევრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სკოლამ გამოიყენოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

**2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ხდება ჟურნალის წარმოება, წესრიგდება მოსწავლის პირადი საქმეები. პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა ჩეკლისტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

### 2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გულისხმობს იმას, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. მასწავლებელთა თქმით, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის პრიორიტეტია თანამშრომლობითი ურთიერთობები და გუნდური მიდგომა. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებების და კურიკულუმებზე ერთობლივად მუშაობის საფუძველზე ხორციელდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემა. მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური ჩართულობით წყდება სასკოლო პროექტებთან, ექსკურსიებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

### 2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლა აქტიურადაა ჩართული ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ასევე ირკვევა, რომ პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმებში შერჩეული თემები, საკითხები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ „სასკოლო გარემო და სწავლა-სწავლების პროცესი საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები. ამის საშუალებას კი სკოლის ინკლუზიური გარემო და სასწავლო პროცესი გვაძლევს.“ სკოლა ხშირად ატარებს სხვადასხვა სახის სპორტულ საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, რომლის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მოსწავლეების აქტიური ჩართულობა და მათი განვითარება სხვადასხვა მიმართულებით. ამასთან, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია, რისთვისაც ისინი ატარებენ სადამრიგებლო საათებს, მოსწავლეებს აძლევენ სხვადასხვა ტიპის პროექტებსა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების საშუალებას. აღნიშნული მიდგომით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არსებული პოზიტიური სასწავლო კლიმატი ქმნის პროდუქტიულ სასწავლო გარემოს, სადაც მასწავლებელიც და მოსწავლეებიც ურთიერთპატივისცემას ავლენენ და ყველა უსაფრთხოდ გრძნობს თავს. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შედგენაზე, შეფასების რუბრიკებზე, ითვალისწინებდნენ კოლეგების აზრს. თანამშრომლობითი კულტურა შეინიშნება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორისაც, რისი მტკიცებულებაც შეიძლება იყოს სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარი მოსწავლეებისთვის. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ „მასწავლებლებს შორის ზიარდება ცოდნა და გამოცდილება. ასევე, მოსწავლეებშიც ყოველდღიურად მიმდინარეობს ურთიერთდახმარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესი. გუნდურობის პრინციპი, რომელიც პასუხისმგებლობის გაზიარებას გულისხმობს სკოლის თითოეული სუბიექტის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს“. სკოლის ადმინისტრაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს მოსწავლეთა მშობლებთან. ხვდება მათ და იკვლევს მათ საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაზარდოს საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრებები და დანერგოს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.

### 2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლის მასწავლებლებთან/თანამშრომლებთან ინტერვიუირებიდან ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. სკოლის თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი იქმნება მთლიანი სასკოლო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა სასკოლო პოზიტიური გარემო - „პოზიტიური კლიმატი ეფუძნება უპირველეს ყოვლისა მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. ურთიერთდახმარება, მხარდაჭერა და ნდობა ამ ურთიერთობების უმთავარეს ღირებულებებს წარმოადგენს. პოზიტიური კლიმატისთვის სასკოლო თემისთვის შექმნილია უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემო. სკოლის ეთიკის ნორმები და ღირებულებებიც სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის უზრუნველყოფას ემსახურება. სწავლა-სწავლების პროცესიც მთლიანად წარმართულია მოსწავლეების მხარდაჭერისკენ“. ამასვე მოწმობს მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა კითხვარები

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგის, შეფასების და რევიზიის ეტაპები. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია მასწავლებლის როლი, რომელმაც უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, კათედრის თავმჯდომარის ვალდებულება, რომელმაც უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით უმნიშვნელოვანესია სკოლის დირექციის ფუნქცია, რომ უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს - ფასილიტაცია გაუწიოს და გაამთლიანოს კათედრების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოს სკოლაში სამუშაო შეხვედრების გამართვა, სადაც განიხილება სასწავლო პროცესების მიმდინარეობა, შეიმუშავოს რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად და ინოვაციების დასანერგად. მონიტორინგის უფრო ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია სკოლაში არსებობდეს კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც დააკვირდებიან, რამდენად სწორად მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი. ასევე, საჭიროა განისაზღვროს ვადები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თითოეულ საგანში წელიწადში რამდენჯერ განხორციელდება დიაგნოსტიკური სამუშაოები, რომლის საშუალებითაც უკეთ დაინახავენ როგორც მიღწეულ შედეგებს, ასევე, გამოვლენილ საჭიროებებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა ფუნქციონირებდეს გამართული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანერგვის პროცესების შესწავლას და/სასკოლო კურიკულუმის განვითარებას. მასწავლებელთა მხრიდან გამოითქვა მზაობა აქტიურად ჩაებან გაკვეთილებზე დასწრების, შეფასების, რეკომენდაციების გაცემის პროცესებში, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ჯანსაღ მსვლელობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს და გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები, საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებების შედეგებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ დროდადრო ხდება მოსწავლეების უკვე მიღწეული შედეგების გადამოწმება. გვქონია მსგავსი გამოცდილება, როდესაც მოსწავლემ უკვე მიღწეული შედეგი შემდგომში ვერ გამოავლინა სრულფასოვნად, აღნიშნული პრობლემა გამოკვეთილი ყოფილა, მაგალითად, ქვიზის გამოყენების დროს. მოცემული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, დაგეგმვა და შემდგომში მათი გამოყენება ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაზრდას. სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარების საკითხებზე მასწავლებელთა მზაობა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**რჩევა:** სასურველია, სკოლამ კურიკულუმის დანერგვის პროცესში, წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხედვით მოახდინოს მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმის სასწავლო პროცესში განხორციელების მონიტორინგი, შეფასება და მისცეს რეკომენდაციას.

### 2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც მასწავლებლებს ეძლევათ უკუკავშირი. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგადმიღებულ გამოცდილებასაც.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ სასკოლო ცხოვრებაში მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ, განუყოფელ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად სასწავლო პროცესში უნდა ხდებოდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. თვითშეფასების განაცხადში ამოიკითხება სკოლის მიერ ჩამოყალიბებული ხედვა - მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის მიზნით სხვადასხვა ხერხის გამოყენების თაობაზე: პირველი არის მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის საკითხები, რესურსების, მეთოდების შერჩევის პროცესში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს გახდეს უფრო აქტიური სწავლა-სწავლების პროცესში. მეორე-მოსწავლეები დამოუკიდებლად ეცნობიან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მასწავლებლის მიერ გაზიარებულ ელექტრონულ რესურსებს, ონლაინ გაკვეთილებს და თემატურ სავარჯიშოებს, რაც ასევე, გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზად მოიაზრება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

## 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

### 2.3.2.1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ასევე გამოიკვეთა, რომ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე

სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის უფრო მეტად გაძლიერებას და შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შეძლოს მიმოხილვა და ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

შეფასება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ეხმარება სხვადასხვა უნარების, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, მსჯელობის და პრეზენტაციის, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენებასა და განვითარებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკის შემუშავებაში სამომავლოდ ჩართული იქნებიან დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები, მოხდება მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, რაც მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას, ჯანრთელობის საკითხებს, ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას, თანატოლებთან ურთიერთობას და ა.შ. თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას სკოლის პედაგოგები ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, შეფასებასაც სწორედ ამ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით ახორციელებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს: საგნის მასწავლებლებისგან ინფორმაციის მოგროვება, მოსწავლის მიერ შესრულებული სხვადასხვა დავალების გაცნობა-ანალიზი, დაკვირვება მოსწავლის ქცევაზე და სხვა. დაწყებით

საფეხურზე სკოლა გეგმავს სამომავლოდ ჩაატაროს დიაგნოსტიკური შეფასება საერთო სასკოლო ტესტირებით სხვადასხვა კლასებსა და საგნებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის - მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, ინტერესების და საჭიროებების, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა და მზაობა, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ და რა საშუალებით გამოავლინონ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და დამუშავება, მიღებული შედეგების გათვალისწინება. დაწყებით საფეხურზე შეფასებისას გამოიყენებენ კონსტრუქტივიზმისა და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს. მიმდინარე სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება შეფასება განხორციელდეს სწორედ სხვადასხავა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

### 2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. ამის დასტურია დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტები. მასწავლებლებთან გასაუბრება ამას ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. ხარისხის ჯგუფი აქტიურად განახორციელებს და გასცემს უკუკავშირებს. ყურადღება მიექცევა დიაგნოსტიკურ წერებსაც. გადამუშვების და კათედრებზე მსჯელობის შედეგად შეიქმნება მისი საუკეთესო ვერსია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ვერსია გარკვეულწილად ეფუძვნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა მოხდეს კურიკულუმის გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედაგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძვნება წინარე გამოცდილებას. პედაგოგებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

*ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.1.1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საგნის ყველა მასწავლებელი, ამასთან, გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის როლი შექმნის პროცესში. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის აგების, დანერგვისა და განვითარების პრინციპები, ხოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები.

საბაზო საფეხურის კათედრის წევრმა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და უზიარებდნენ არსებულ გამოცდილებას. შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

საბაზო საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭიროებები, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, საგნობრივი კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, შესაბამისად საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, განსაკუთრებით კათედრის წევრები, რომლებიც ერთობლივად ადგენენ კომპლექსურ დავალებებს, შეფასების კრიტერიუმებს, სასწავლო რესურსებს, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს განიხილავენ თითოეული კლასის/მოსწავლის გასული სასწავლო წლის მიღწევებს, მსჯელობენ მიღებულ შედეგებზე და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას კურიკულუმის განვითარების მიზნით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის, ასევე სკოლის დოკუმენტის -კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საბაზო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივებების შესახებ მოსწავლეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექნიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. ასევე სკოლას გააქტიურებული აქვს ვებგვერდი სადაც განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები;

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის კათედრის მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლო წლისთვის კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები ყველა კლასისთვის, სადაც გაწერილია გრძელვადიანი მიზანი-სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის ჩარჩოებში, სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ერთ სემესტრში დაგეგმილია ერთი კომპლექსური დავალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გლობალურ-ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომელსაც, როგორც აღნიშნავენ, იყენებენ გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურების ხელშესაწყობად.

სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში, მაგალითად, მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, ასევე, მკვიდრი წარმოდგენები სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიან მიზნებად, თითოეულ თემასა და საკითხში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას. სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის შეძენაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა: გეოგრაფია**
მეშვიდე კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში არ ჩანს რომელი საკითხებით/საკითხთა კლსტერით მუშავდება სამიზნე ცნებები: 1. გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; 2. მოსახლეობა და მეურნეობა. მეორე და მეოთხე თემებში არ ჩანს

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

რომელი საკითხებით/საკითხთა კლსტერით მუშავდება სამიზნე ცნებები: 1. გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; 2. მოსახლეობა და მეურნეობა; 3. მდგრადი განვითარება.

მერვე კლასის კურიკულუმში, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თემებში არ ჩანს რომელი საკითხებით/საკითხთა კლსტერით მუშავდება სამიზნე ცნებები: 1. გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; 2. მოსახლეობა და მეურნეობა; 3. მდგრადი განვითარება. მეხუთე სავალდებულო თემა საერთოდ არ არის კურიკულუმში წარმოდგენილი.

მეცხრე კლასის კურიკულუმში, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თემებში არ ჩანს რომელი საკითხებით/საკითხთა კლსტერით მუშავდება სამიზნე ცნებები: 1. გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი; 2. მოსახლეობა და მეურნეობა; 3. მდგრადი განვითარება.

**ისტორია**

მეშვიდე კლასის კურიკულუმში, მესამე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „დრო“.

მეცხრე კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“. ასევე, მესამე თემაში არ ჩანს რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება სამიზნე ცნებები: 1. ისტორიული წყარო; 2. დრო; 3. სივრცე; 4. საზოგადოება.

მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს.

**2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, როგორც კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებული სწავლების სხვადასხვა მეთოდებს სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, თუმცა, ამ ეტაპზე სკოლაში არ ჰყავთ სპეციალური საჭიროების მოსწავლე. რესურსები, მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმითაა აღნიშნული ინკლუზიური განათლების მეთოდოლოგიის შესახებ. ასევე ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლები გაკვეთილებს და სხვადასხვა აქტივობას გეგმავენ დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით, საგაკვეთილო პროცესში ცდილობენ სხვადასხვა სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით უზრუნველყონ კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში ჩართულობის გაზრდა. კათედრა გამოთქვამს მზაობას გაზარდოს გაკვეთილზე დიფერენცირების ხვედრითი წილი მოსწავლეთა შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ცხრილი, ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები.

კათედრის მიერ მომავალი სასწავლო წლისთვის შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიგვანიშნებს, რომ პედაგოგები დააკვირდებიან როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, როგორია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენები შესასწავლ საკითხთან, თემასთან დაკავშირებით, გამოავლენს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, მისცემს მეტაკოგნიტური უნარების გამოკვეთის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მასწავლებელთა მხრიდან გასაუბრების პროცესში ხაზგასმულია კომპლექსური დავალებების განმავთარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი, დავალების კრიტერიუმებზე დაყრდნობა, მაგრამ გამოგზავნილ ნიმუშებში ეს მიმართება დარღვეულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**რჩევა:** 1. სასურველია დაკონკრეტდეს რუბრიკა, რომელიც კონკრეტული მიზნისთვისაა. კონკრეტული პროცესის შესაფასებლად. კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები.
2. სასურველია ესთეტიკური აღზრდის საგნებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები დაკონკრეტდეს და სხვადასხვა თემაში სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე იყოს მორგებული.

**2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ საგაკვეთილო პროცესს. ეს კარგად ჩანს კათედრის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდან. საბაზო საფეხურის კლასების კომპლექსური დავალების მატრიცა და კურიკულუმები ცხადყოფს, როგორ ხდება მოსწავლეთა მზაობის გათვაისწინება და როგორ იგება შემდგომი ცოდნა. დიაგნოსტიკაზე დაფუძნებული სწავლება სკოლის ხედვის დოკუმენტშია გაწერილი, რაც გულისხმობს წინარე გამოცდილების მაგალითზე სასწავლო პროცესის დანერგვას.

სკოლა აღნიშნავს, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის ჩარჩოები (7-9 კლასის ჩათვლით ქართულ ენასა და ლიტერატურაში )
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ანგარიშის ოქმი
- თემატური მატრიცის ნიმუშები

შეფასება:

1. *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
2. *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისად, საფრთხე ექმნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმის განხორციელებას საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.**

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები (7-9 კლასი) მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს, წერილობით თუ დისკუსიების სახით. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში მრავლად გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გარდა ამისა, აღწერილი პროცესი აისახა მეექვსე კლასის თემატურ მატრიცაში, რომელიც წინა წელს დანერგვის, განხილვისა და რეფლექსიის საგანი გახდა კათედრის წევრებისთვის. შესაბამისად შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კურიკულუმებში შემავალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები და მათში ასახული შინაარსი, მოსწავლეთა მიერ შესაქმნელი პროდუქტი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალი ცოდნის შეძენის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემატური ბლოკების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი პროცესი მკაფიოდ ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში, მოსწავლეთა ნამუშევრებსა და რეფლექსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის კათედრების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში პოცესები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე, მასწავლებელთა მიერ განხორცილებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესაძლებლობას იძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც აისახება სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დანართში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში გეზისმიმცემი კითხვებით, კონკრეტული აქტივობებით, მოსწავლეთა თვითსეფასების რუბრიკებითა და გასიტყვების პროცესში დასმული კითხვებით ყურადღება მახვილდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, ცხადია კათედრის წევრები ამ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მეთოდოლოგიური დანართის სრულყოფისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

სკოლის კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს ამოცანას, სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები, წინა წელს დანერგილი კომპლექსურები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. **ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სასურველია კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი, მიმდინარე აქტივობები, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება კონსტრუქტივიზმის ხუთივე პარადიგმა კურიკულუმის ჩარჩოებს დაერთოს დანართის სახით.

**დასტურდება (მტკიცებულებები)**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სახელმწიფო ენის 7-9 კლასების კურიკულუმის ჩარჩოები
- რამდენიმე თემატური მატრიცის ნიმუში

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით, თემატური ერთეულის სწავლებისას გამოყენებული რესურსებით, საგნობრივი პროექტებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვებს შორის. აქვეა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ არ ჩანს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას, თუმცა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თემატური ერთეულის შეჯამების შემდეგ მასწავლებლები სვამენ ისეთ კითხვას რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი? გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ შეფასების მექანიზმებში ჩართული აქვთ თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სკოლის მიერ წარმოდეგნილი მასალების (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები) შესწავლის შედეგად, იკვეთება, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასალებში მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკებია წარმოდგენილი. აქვე მოცემულია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში, რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.2.4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობისა და სანდოობის დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით. შესრულებული დავალებების შემდეგ მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

წარმოდგენილ დოკუმენტებში და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი აქვს შემუშავებული. (ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში გვ 25), რომელიც იქნება საშუალება საბაზო საფეხურის შედეგების სტატისტიკური ანალიზისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპლექსური დავალების ბარეთები.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- სასკოლო სასწავლო გეგმა (ვერიფიკაციის დოკუმენტი გვ 25)

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

## 2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც გულისხმობს იმას, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. მასწავლებელთა თქმით, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის პრიორიტეტია თანამშრომლობითი ურთიერთობები და გუნდური მიდგომა ყველა გამოწვევისადმი. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღწერილი კურიკულუმის შემუშავების პროცესი. საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. მასწავლებლები ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. აქვთ ღიაობა, მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეების იდეების მიმართ. პედაგოგებთან გასაუბრების დროს იგრძნობოდა ურთიერთმხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა.

მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე, ისინი ერთად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, ნებისმიერ პრობლემას განიხილავენ, როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობით მისაღებ გადაწყვეტილებას. დირექტორი, როგორც ლიდერი, ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არის თანამშრომლობითი და პოზიტიური გარემო. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, იკრიბებიან, მსჯელობენ და აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სასკოლო თემის ყველა წარმომადგენლისადმი არსებობს თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება. თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა სასკოლო კულტურის განუყოფელი ნაწილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

### 2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლების მეთოდები, გაკვეთილის სტრუქტურა, უკუკავშირის ფორმები, მოსწავლეთა ღირებულებითი მიდგომები თითოეული მოსწავლის განვითარებას ემსახურება. სასკოლო კურიკულუმები ესგ-სა და საგნობრივი სტანდარტების შესაბამისია. მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეთა ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც საშუალება ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი სურვილები, ინტერესები, შეხედულებები. თითოეული მოსწავლის ინიციატივა წახალისებული და მხარდაჭერილია. ასეთი მიდგომები მასწავლებელს ეხმარება სასურველი შედეგის მიღწევაში, მოსწავლეს კი - საკუთარი აზრის გამოხატვასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ პედაგოგები მჭიდროდ ურთიერთანამშრომლობენ ერთმანეთთან. იცნობენ ერთმანეთის განხორციელებულ პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებს. ერთად გეგმავენ და ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პროექტებს. იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. პედაგოგები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, გეგმავენ და ახორციელებენ ერთობლივ სასკლო ღონისძიებებს, ექსკურსიებსა და ლაშქრობებს. მასწავლებლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის ასეთი გუნდურობა ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის თითოეული პედაგოგი იზიარებს თანამედროვე განათლების სისტემის გამოწვევებს და გაცნობიერებული აქვთ, რომ სწავლების ხარისხი გულისხმობს მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემას და პრაქტიკული, ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. მოსწავლეებთან ერთად იგეგმება და ხორციელდება შემეცნებითი, შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სპორტილი ღონისძიებები. საკლასო ოთახში პოზიტიური კლიმატის შექმნაზე თანაბრად ზრუნავს მოსწავლე, მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების კითხვარი;

შეფასება:

*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

1. **მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

საბაზო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება სასკოლო ცხოვრების განუყოფელი კომპონენტია. პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მასწავლებლების ძლიერ და სუსტ მხარეებზე; აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს, რომელიც ზრდა-განვითარებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები ერთმანეთისაგან სწავლობენ ახალ მეთოდებს, მიდგომებს, სტრატეგიებს, რომელსაც იყენებენ მომავალი გაკვეთილების დაგეგმვისას. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები მონიტორინგს უწევენ სასწავლო პროცესს. საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებელების მხრიდან კლასში პრობლემის აღმოჩენისას, განსკუთრებით ძლიერდება მონიტორინგი კონკრეტული მიმართულებით, რისი მიზანიც, არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიებაა.
პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საბაზო საფეხურის კლასების კათედრაზე კურიკულუმის განხორციელების პროცესში ჩართული მასწავლებლებისგან ინტენსიური თანამშრომლობით შეაგროვებენ მონიტორინგისა და შეფასების მასალებს. მოხდება საკვანძო ელემენტების, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარებისათვის სრულყოფილი ინსტრუმენტების დანერგვა. მონიტორინგის უფრო ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია სკოლაში არსებობდეს კონკრეტული ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც დააკვირდებიან, რამდენად სწორად მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი. ასევე, საჭიროა განისაზღვროს ვადები,

თითოეულ საგანში წელიწადში რამდენჯერ განხორციელდება დიაგნოსტიკური სამუშაოები, რომლის საშუალებითაც უკეთ დაინახავენ როგორც მიღწეულ შედეგებს, ასევე, გამოვლენილ საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც საბაზო საფეხურის პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებს, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას, დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მონიტორინგისა და შეფასების უფრო მოქნილი და დახვეწილი მექანიზმის შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: რა არის შეფასების მიზანი? რა ტიპის შედეგია მოსალოდნელი? რაში გამოვიყენებ შედეგს? შეფასების რომელი მეთოდი არის რელევანტური? რამდენად გამართლდა მოლოდინები? მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამაში მათ დაეხმარებათ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსრუმენტიც.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

## 2.3.2.1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ასევე გამოიკვეთა რომ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტები. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის უფრო მეტად გაძლიერებას და შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შეძლოს მიმოხილვა და ანალიზი.

სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები პრობლემური საკითხის წამოჭრისას აქტიურად აგროვებენ ინფორმაციას დაკვირვების, გამოკითხვის, ურთიერთთანამშრომლობის გზით, რათა მოხდეს პრობლემის ობიექტური შეფასება. პედაგოგები სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც. მოსწავლე არ ფასდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, რომლის განსახორციელებლად და კომპლექსურად შეფასების მიზნით მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ მონაცემთა შეგროვების ფორმას, რომელსაც ექნება ცხრილის სახე. მასში შესაძლებელი იქნება მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის ორგანიზებულად განთავსება. ამ ფორმით წარმოდგენა გააადვილებს მონაცემებთა ანალიზისა და მათზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანის პროცესს. სკოლაში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებასაც, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგს დაინახოს როგორც მიღწეული პროგრესი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები. მშობლები ინდივიდუალურად ეცნობიან შვილების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, აქედან გამომდინარე მოსწავლეთა მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ იზრუნონ თავისი შვილის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების გაუმჯობესებისათვის. ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ინტერვიუ კლასის დამრიგებელთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ეხმარება სხვადასხვა უნარების, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, მსჯელობის და პრეზენტაციის, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენებასა და განვითარებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასების რუბრიკის შემუშავებაში სამომავლოდ ჩართული იქნებიან მოსწავლეები, მოხდება მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, რაც მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს: საგნის მასწავლებლებისგან ინფორმაციის მოგროვება, მოსწავლის მიერ შესრულებული სხვადასხვა დავალების გაცნობა-ანალიზი, დაკვირვება მოსწავლის ქცევაზე და სხვა. სკოლა გეგმავს სამომავლოდ ჩაატაროს დიაგნოსტიკური შეფასება საერთო სასკოლო ტესტირებით საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კლასებსა და საგნებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, ინტერესების და საჭიროებების, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა და მზაობა, იმასთან

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დაკავშირებით თუ როგორ და რა საშუალებით გამოავლინონ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და დამუშავება, მიღებული შედეგების გათვალისწინება. შეფასებისას გამოიყენებენ კონსტრუქტივიზმისა და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:
*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. ამის დასტურია საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტები. მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმის ვერსია გარკვეულწილად ეფუძვნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა მოხდეს კურიკულუმის გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედაგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძვნება წინარე გამოცდილებას. პედაგოგებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

*შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

სოფელ ჩხიკვთას საჯარო სკოლის მიერ გამოგზავნილი ავტორიზაციის დასკვნის შესაბამისობის გეგმა - დოკუმენტის ელ.ფაილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:** **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

თარიღი 20/11/2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: